პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Пролетарии всех стран, соединяйтесь!

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 244 (20285) — კვირა, 23 ოქტომბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

სან. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალება ორი თვით ადრე

ჩოხატაური. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვნად განავითარეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგი. ათასოელი რძის წარმოება, გაზრდეს თითოეული ფურის წველადობის დონე. სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში წლების მანძილზე მცირე იყო წველადობის მაჩვენებელები. ამ ბოლო პერიოდში მტკიცედ დაინერგა მოწინავე გამოცდილება. ამის შედეგია, რომ მეცხოველეებმა ვადაზე 2 თვით ადრე — ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეასრულეს წველადობის წლიური დავალება. თითოეულ ფურზე გეგმით გათვალისწინებული 2.050 კილოგრამის ნაცვლად მიიღეს 2.109 კილოგრამი რძე.

წველადობის წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ბორის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობის, კოხნარის, ჩხაკოურას, ზოტის კოლმეურნეობებმა.

▼▼

ზესტაფონელთა ზერეპში

ყლეულს ავდარმა ყურძნის კრეფა შეაფერხა. ამიტომ ზესტაფონის რაიონში რთველი თითქმის ორი კვირის დაგვიანებით დაიწყო.

ახლა რაიონის სოფლებში ქუდზე კაცი გამოვიდა და ერთიანად შეესვენენ მტევნებით დახუნძლული ვენახებს. რთველი უზრუნველყოფილია ტრანსპორტით, ტარით, საკრეფი საშუალებებითა და საწვავსაპონი მასალით.

ყურძნის გადამშუშავებელ საწარმოებში უკვე 2 ათას ტონაზე მეტი ყურძენია მიტანილი.

რძე გეგმის გადაჭარბებით

ბაიაკოვსკი. რაიონის საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმების მზრუნველებმა 12 ოქტომბრისათვის ჩამოწველეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 230 ცენტნერით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

რძის წარმოების ათი თვის გეგმები უკვე შეასრულეს რონის ულენინის სახელობის კოლმეურნეობისა და ვარციხის მეკვნესეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა.

პროექტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საფუძვლები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. გარდა ამისა, სსრ კავშირის კონსტიტუციით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამედს ირჩევენ საერთო-საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის, ქალთა, ომისა და შრომის ვეტერანთა, მეცნიერ მუშაკთა გაერთიანებებისაგან, შემოქმედებითი კავშირებისა და კანონით დადგენილი წესით შექმნილი საერთო-საკავშირო ორგანოების მქონე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სსრ კავშირის მოქალაქეთა გაერთიანებებისაგან. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა მათს ყრილობებზე, კონფერენციებზე ან მათი საერთო-საკავშირო ორგანოების პლენუმებზე.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებში საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან დეპუტატთა არჩევის უფლება აქვთ მათი ყრილობების, კონფერენციების დელეგატებს ანდა მათი საერთო-საკავშირო ორგანოების პლენუმების მონაწილეებს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა.

აკრძალულია სსრ კავშირის მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცმული ადგილის ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის გამო.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებსაც სასამართლო არაქმედუნარიანად ცნობს, თავისუფლის აღკვეთის ადგილს მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში გიგზავნენ.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში ერთი ხმა აქვს; ამომრჩეველები არჩევნებში მონაწილეობენ თანასწორ საფუძველზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს მისი ყრილობის, კონფერენციის ყოველ დელეგატს ანდა პლენუმის მონაწილეს ერთი ხმა აქვს და ისინი ყველანი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი საარჩევნო უფლებები აქვთ.

სამხედრო მოსამსახურენი ყველა მოქალაქის თანასწორად სარგებლობენ საარჩევნო უფლებით.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატებს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ.

სახალხო დეპუტატებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ირჩევენ უშუალოდ მათი ყრილობების, კონფერენციების დელეგატები ანდა მათი საერთო-საკავშირო ორგანოების პლენუმების მონაწილენი.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებზე კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლენებისადმი რაიმე კონტროლი დაუშვებელია.

მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 7. საჯაროობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარებას აზორიცელებენ საარჩევნო კომისიები, შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ღიად და საჯაროდ.

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს და ამომრჩეველთა სიებს, საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარების შედეგებს, რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს, თითოეული კანდიდატის მიხედვით კენჭისყრის შედეგებსა და არჩევნების შედეგებს.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე, მათ შორის დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარების, საარჩევნო უბანში ხმების დათვლის, ოლქში არჩევნების შედეგების განსაზღვრისა და არჩევნების საერთო შედეგების შეჯამების დროს დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამომრჩეველთა კრებების წარმომადგენლებს, ნდობით აღჭურვილ პირებს, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას, მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მუხლი 8. მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

სსრ კავშირის მოქალაქენი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, საოლქო წინასაარჩევნო კრებების მეშვეობით.

შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

მუხლი 9. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება

საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამომრჩეველთა კრებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა — მათ საერთო-საკავშირო ორგანოებს, რომლებიც ითვალისწინებენ ძირეული კოლექტივებისა და ამ ორგანიზაციების წევრთა აზრს.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩატარებისას დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი არ იზღუდება; საარჩევნო ბიულეტენებში შეიტანენ, როგორც წესი, მეტ კანდიდატს, ვიდრე მანდატია.

სსრ კავშირის მოქალაქეებს, შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის უფლება.

მუხლი 10. ამომრჩეველთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განაწესები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს

ამომრჩეველები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

განაწესების შეტანის, განხილვის, განხილვისა და შესრულების ორგანიზაციის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონი.

მუხლი 11. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

ის პირნი, რომლებიც შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გარდა, სსრ კავშირის უწყვეთა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, სსრ კავშირის თავადი სახელმწიფო არბიტრი და სახელმწიფო არბიტრები, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის წევრები, ამ სხვა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებსაც ქმნიან სსრ კავშირის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და მათდამი ანგარიშვალდებული არიან, არ შეიძლება ამავე დროს იყვნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები.

მუხლი 12. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო სათავსებსა და მოწყობილობას.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატები და ამომრჩევლები არ გაიღებენ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების კანონმდებლობის დარღვევისათვის

პირებს, რომლებიც ძალადობის, მოტყუების, მუქარისა ან სხვა გზით ხელს უშლიან იმას, რომ სსრ კავშირის მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად, ეწერიოს წინასაარჩევნო აგიტაციას, საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა. პასუხს აგებენ აგრეთვე პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გაავრცელეს ყალბი ცნობები დეპუტატობის კანდიდატის შესახებ.

II. არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო ოლქების შექმნის წესი

მუხლი 14. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების დანიშვნა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო არა უგვიანეს ოთხი თვისა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა, როგორც წესი, ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ერთ-ერთ დასვენების დღეს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები იმართება მათს ყრილობებზე, კონფერენციებზე ან მათი საერთო-საკავშირო ორგანოების პლენუმებზე არა უადრეს ოცი დღისა არჩევნების დღემდე და არა უგვიანეს საარჩევნო ოლქებში არჩევნების დღისა.

ცხობები საარჩევნო ოლქებში არჩევნების დღის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყრილობების, კონფერენციების ან მათი საერთო-საკავშირო ორგანოების პლენუმების გამართვის თარიღისა და ადგილის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

მუხლი 15. საარჩევნო ოლქების შექმნა

საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის იქმნება 750 ტერიტორიული და 750 ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო ოლქებს ქმნის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარდგინებით.

თითოეული საარჩევნო ოლქისაგან ირჩევენ ერთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს.

საარჩევნო ოლქების სიებს, რომლებშიც აღნიშნულია მათი საზღვრები და საოლქო საარჩევნო კომისიების ადგილსამყოფელი, აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ათი დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

მუხლი 16. ტერიტორიული საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ტერიტორიული საარჩევნო ოლქები იქმნება ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვით სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. საარჩევნო ოლქების საზღვრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თითოეული არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ნორმას ადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 17. ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქები იქმნება შემდეგი ნორმებით: 32 ოლქი თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში, 11 ოლქი თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5 ოლქი თითოეულ ავტონომიურ ოლქში და ერთი საარჩევნო ოლქი თითოეულ ავტონომიურ ოკრუგში.

ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქები იქმნება ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე. ავტონომიური ოკრუგის ტერიტორია შედგება ერთ ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქს.

მუხლი 18. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობის ნორმები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს

საერთო-საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ირჩევენ 750 სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — 100 დეპუტატს;

სსრ კავშირის პროფესიული კავშირებისაგან — 100 დეპუტატს;

კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან (კოლმეურნეობების, სამომხმარებლო საზოგადოებებისა და მოქალაქეთა სხვა კოოპერაციული გაერთიანებებისაგან) — 100 დეპუტატს.

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან — 75 დეპუტატს;

ქალთა საბჭოებისაგან, რომლებსაც აერთიანებს საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი, — 75 დეპუტატს;

ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც აერთიანებს მათი საკავშირო საბჭო, — 75 დეპუტატს;

მეცნიერ მუშაკთა გაერთიანებებისაგან (საერთო-საკავშირო აკადემიური დაწესებულებების, სამეცნიერო საზოგადოებებისა და ასოციაციებისაგან), სსრ კავშირის სამეცნიერო და საინჟინრო-საზოგადოებათა კავშირისაგან, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებისაგან — 75 დეპუტატს;

სსრ კავშირის შემოქმედებითი კავშირებისაგან (არქიტექტორთა კავშირის, დიზაინერთა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის, კინემატოგრაფისტთა კავშირის, კომპოზიტორთა კავშირის, მწერალთა კავშირის, თეატრის მოღვაწეთა კავშირის, მხატვართა კავშირისაგან) — 75 დეპუტატს;

კანონით დადგენილი წესით შექმნილი საერთო-საკავშირო ორგანოების მქონე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სსრ კავშირის მოქალაქეთა გაერთიანებებისაგან — 75 დეპუტატს.

აღნიშნული ნორმების ფარგლებში თითოეული საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლობა დგინდება ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი არჩევითი ორგანოების ან მათ რწმუნებულთა გაერთიანებულ სხდომაზე, რომელსაც იწვევს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

III. საარჩევნო უბნები

მუხლი 19. საარჩევნო უბნების შექმნა

საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქებში შემავალი რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად, რომლებიც საერთო ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის. უბნები იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში და შედის საარჩევნო ოლქებში ნაწილების განლაგების ადგილის მიხედვით.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, დიდ სარკინიგზო და საავტომობილო სადგურებში, აეროპორტებში, სადგურთა სამგზავრო ნაგასადგურებში, სასტუმროებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები, რომლებიც შედის საარჩევნო ოლქებში შესაბამისად მათი დგომლობამდელის ან გემის მიწერის ნაგასადგურის ადგილის მიხედვით. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას პოლარულ სადგურებში და, თუ ამისათვის არის საჭირო პირობები, საზღვარგარეთ საბჭოთა დაწესებულებებში.

მუხლი 20. საარჩევნო უბნების შექმნის წესი და ნორმა

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარეთა ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოების საოლქო საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნებს ქმნიან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები გემის მიწერის ნაგასადგურის ადგილის მიხედვით. ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა ადგილმოსაყოფი საბჭოები ნაწილების ან საჯარისო შენაერთების შეთანხმებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნებამდე. ჯარის ნაწილებში, აგრეთვე დიდ სარკინიგზო და საავტომობილო სადგურებში, აეროპორტებში, სადგურთა სამგზავრო ნაგასადგურებში, სასტუმროებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, პოლარულ სადგურებში საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამთიკლის შემთხვევებში არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩეველისათვის.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭო ამომრჩეველს აცნობებს თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მიცემის შენობის ადგილსამყოფელს.

IV. საარჩევნო კომისიები

მუხლი 21. საარჩევნო კომისიების სისტემა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

საუბნო საარჩევნო კომისიები;

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიები.

მუხლი 22. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით არა უგვიანეს ოთხი თვისა არჩევნებამდე კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილის, მდივნისა და 31 წევრის შემადგენლობით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება ვადაა ხუთი წელი.

მუხლი 23. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას; საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეაქცევს ფიზიკურ ან კანონის გამბრალების თაობაზე;

2) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას; განსაზღვრავს საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესს;

3) ქმნის ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებს;

4) წყვეტს სსრ კავშირის ტერიტორიაზე საარჩევნო უბნებისათვის ან საარჩევნო უბნების მიწერის საკითხებს, რომლებიც სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ არის;

5) უნაწილებს ფულადს სახსრებს საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიათა უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებსა;

6) ადგენს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების წინასაარჩევნო კრებებისა და სხდომების ოქმების, სხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

7) ისმენს სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

8) რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ დეპუტატებს, აჯამებს მთლიანად ქვეყანაში არჩევნების შედეგებს, პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგებში შესახებ და არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების სიას;

9) გადაეცემა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სამანდატო კომისიას დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

(გაგრძელება 3ე-ე გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მტკიცედ დავიცვათ მიწისა და გინის კანონმდებლობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგმა სხდომამ მწვავედ გააკიცხა მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის და კასპის რაიონების, აგრეთვე ქალაქ რუსთავის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა, რომელთა ტერიტორიაზე წლების მანძილზე უორგდებოდნენ მიწის კანონმდებლობის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, მოქალაქეთა ჩაწერისა და მათთვის ბინის მიცემის დადგენილი წესების უხეშ დარღვევებს.

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების მწვავე დეფიციტის შექმნილ პირობებში მიწათსარგებლობის ნორმების დარღვევათა გამოვლენილ ფაქტები ამის შედეგია, რომ ცალკეულ ნეგატიურ პროცესებს ჭიოვან ყურადღებას არ უთმობდნენ არც რესპუბლიკის დირექტიული ორგანოები და არც ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოები.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა მკაცრ პასუხისგებაში მიეცეს ყველა თანამდებობის პირი, ვისაც ბრალი მიეძღვის მიწისა და ბინის კანონმდებლობის წესების გამოვლენილ უხეშ დარღვევებში. სამართალდაცვითი ორგანოები მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში კანონიერი წესით გადაწყვიტონ მეასპინძლეობა ტორეი საერთო-ევროპული სასლის კონცეფციის, სოციალიზმის ქვეყნების მშვიდობისმოყვარეულ ინიციატივებს.

მ. ს. გორბაჩოვმა მ. რაკოვსკის უსურვა დიდი წარმატებანი ახალ პასუხსაგებ პოსტზე.

სუბპარში, რომელიც გულთბილ მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი.

* * *

გამმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და მ. რაკოვსკის მოლაპარაკება.

გამმართა აგრეთვე ა. ნ. იაკოვლევისა და მ. რაკოვსკის შეხვედრა.

მოლაპარაკების დროს მთავრობათა მეთაურებმა ცენტრალური ყურადღება დაუთმეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის აქტუალური საკითხებისა და მისი განვითარების პერსპექტივების განხილვას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობაში საეტაპო მოვლენა გახდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი. ვიზიტის დროს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივი განცხადება, უმალოდ დონეზე მიღწეული მორიგებანი და ჩვენი ქვეყნების ხალხთა ნდობის განმტკიცებული კლიმატი ფართო შესაძლებლობებს სახავენ, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს ორმხრივი თანამშრომლობის მთელი კომპლექსი ახალ თვისებრივ დონეზე. მყარად მიმდინარეობს მიზანშმიმართული მუშაობა ვიზიტის შედეგების მიხედვით ორივე მხარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილ ამხანაგურ ატმოსფეროში. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ი. დ. მასლიუკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, სხვა საბჭოთა და პოლონელი ოფიციალური პირები.

სსრ კავშირის მთავრობამ სტუმრად გუშვართა საუზმე.

საუზმეზე იყვნენ ნ. ი. რიჟკოვი, ა. ნ. ია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ

(გაგრძელება)

10) წყვეტს განმეორებით არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

11) წყვეტს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა გაწვევის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

12) ნიშნავს გამოცლებული დეპუტატების ნაცვლად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

13) განიხილავს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედებას, გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ გამო საბოლოო გადაწყვეტილებანი;

14) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ და სსრ კავშირის სხვა კანონების შესაბამისად.

მუხლი 24. საარჩევნო კომისიების შექმნა

საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების თითოეულ ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში არა უგვიანეს სამთვე-ნახევრისა არჩევნებამდე 11-17 წელის შემადგენლობით.

საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შრომითი კოლექტივები, მათი საბჭოები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო (ავტონომიური ოკრუგები), რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები. იმ შრომით კოლექტივებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებს განსაზღვრისათვის, რომლებიც წარმომადგენლებს ასახელებენ კომისიათა შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოს საქმიანობა შემოხვევაში შეუძლიათ მოაწყონ საარჩევნო ოლქის შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების რწმუნებულთა თათბირები.

ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნიან:

სამხარეო, საოლქო დაყოფის მქონე მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭო;

მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ სამხარეო და საოლქო დაყოფა, და ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებს ქმნიან შესაბამისად მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭო.

მუხლი 25. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას;

2) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

3) ისმენს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

4) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და საყოველთაო გაცნობისათვის მათ წარდგენას;

5) აწყობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას;

6) ატარებს საოლქო წინასაარჩევნო კრებებს;

7) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, უზრუნველყოფს დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ ბიოგრაფიული მონაცემებიანი პლაკატების გამოცემას;

8) შრომითს კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს ამომრჩეველთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრებს;

9) ამტკიცებს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს, უზრუნველყოფს ბიულეტენების დაბეჭდვასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

10) ადგენს და პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს, მოწმობებს აძლევს არჩეულ დეპუტატებს;

11) აწყობს განმეორებითი კენჭისყრისა და განმეორებითი არჩევნების, აგრეთვე გამოცლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნების ჩატარებას;

12) წყვეტს დეპუტატის გაწვევის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

13) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

14) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 26. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა.

საუბნო საარჩევნო კომისია — საერთო ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან დეპუტატთა არჩევნებისათვის — იქმნება არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე 5-19 წელის შემადგენლობით. საჭიროების შემთხვევებში საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა შეიძლება გაზრდილს.

საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ შრომითი კოლექტივები, შრომითი კოლექტივების საბჭოები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საუბნო საარჩევნო კომისიებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქების რაიონული საბჭოები.

მუხლი 27. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს;

2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში შეცდომების შესახებ და წყვეტს მათში შესაბამის ცვლილებათა შეტანის საკითხს;

3) ამომრჩევლებს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობებს;

4) აუწყებს მოსახლეობას არჩევნების დღისა და ხმის მიცემის ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის მომზადებასა და საარჩევნო ყუთების დამზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ითვლის საარჩევნო უბანში მიცემულ ხმებს;

8) იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 28. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიათა შექმნა

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიებს ქმნიან 7-13 წელის შემადგენლობით ამ ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო ორგანოები არა უგვიანეს სამთვენახევრისა საარჩევნო ოლქებში არჩევნების დღემდე.

საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო კომისიები რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან.

მუხლი 29. საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისია:

1) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს;

2) აქვეყნებს დეპუტატობის კანდიდატთა სიებს;

3) განაზოგადებს ძირეული კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წერილთა, მოქალაქეთა მიერ დეპუტატობის კანდიდატთა მისამართით გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებს და მოახსენებს მათ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყრილობას, კონფერენციას ანდა მისი საერთო-საკავშირო ორგანოს პლენუმს;

4) ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს;

5) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის მომზადებასა და საარჩევნო ყუთების დამზადებას, ორგანიზაციას უწევს ხმის მიცემას საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყრილობაზე, კონფერენციაზე ანდა საერთო-საკავშირო ორგანოს პლენუმზე;

6) ითვლის ხმებს და ადგენს დეპუტატთა არჩევნების შედეგებს, აძლევს მოწმობებს არჩეულ დეპუტატებს;

7) აწყობს გამემორებით ხმის მიცემას და არჩევნებს გამოცლებულ დეპუტატთა ნაცვლად;

8) წყვეტს დეპუტატების გაწვევის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 30. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და მდივანს ორჩევენ შესაბამისი კომისიის სხდომაზე.

საარჩევნო კომისიის სხდომები უფლებამოსილია, თუ მათში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის გადაწყვეტილებები იღებენ ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. კომისიის წევრებს, თუ არ ეთანხმებიან მის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი, აგრეთვე სასამართლოში.

საარჩევნო კომისიის წევრი კომისიის გადაწყვეტილებით არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიძლება გთხოვოს უფლებამოსილ საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ამასთან შეუნარჩუნდეს საშუალო ხელფასი არჩევნების ჩატარებისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მუხლი 31. საარჩევნო კომისიების ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მათი მოშობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირნი, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ დასმული საკითხი და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ არა უგვიანეს სამი დღის ვადისა.

V. ამომრჩეველთა სიები

მუხლი 32. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

ამომრჩეველთა სია — საერთო ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებისათვის — დგება თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის მუშაობაში საარჩევნო კომისიას შეუძლია ჩაბას საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ჯარის ნაწილებში მყოფ ამომრჩეველ სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრთა და სხვა ამომრჩეველთა სიებს, თუ ისინი ცხოვრობენ ჯარის ნაწილების გალავნების რაიონებში, ადგენენ ჯარის ნაწილების შეთაურების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე. ჯარის ნაწილების გარეთ მცხოვრები სამხედრო მოსამსახურეები ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საერთო საფუძველზე.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია, სახლთმართველ საბჭოთა დაწესებულებებთან, არჩევნების დღეს ნოსნობაში მყოფ გემებზე, დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელობა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიაში შეაქვთ ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის მოსახერხებელი წესით.

მუხლი 33. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი და სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ (მუდმივად ან დროებით) მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლება.

ამომრჩეველი არ შეიძლება შეტანილ იქნეს ამომრჩეველთა სიებში სხვა საარჩევნო უბნებში.

მუხლი 34. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე ათი დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ამომრჩეველთა სიებს და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე ამომრჩეველს შესახებ სხვა მონაცემების სიაში დაშვებული უხუმტობანი. სიაში უსწორობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღის ვადისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან გამცხადებულ მისეულს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სახლო�a. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 35. ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებითი სია

თუ ამომრჩეველმა შეიცვალა ადგილსამყოფელი საყოველთაო გაცნობისათვის ამომრჩეველთა სიების გამოტანასა და არჩევნებს შორის, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და პასპორტისა თუ მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე აძლევს ამომრჩეველს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 36. საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებში ხმის მიმცემთა სია და მისი შედგენის წესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებში ხმის მიმცემთა სიას ადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო-საკავშირო ორგანო და გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს სამი დღისა.

ხმის მიმცემთა სიაში შეაქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყრილობის, კონფერენციის დელეგატები ან მისი საერთო-საკავშირო ორგანოს პლენუმის მონაწილენი. სიაში ხმის მიმცემთა შეტანასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წყვეტს საარჩევნო კომისია. ხმის მიმცემთა გვარები სიაში ლაგდება ანბანის მიხედვით.

VI. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია

მუხლი 37. საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წესი

ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება იწყება არჩევნებამდე სამი თვით ადრე და მთავრდება არჩევნებამდე ორი თვით ადრე.

დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ შრომითი კოლექტივები, რომლებშიც, როგორც წესი, არის სულ ცოტა 500 მოქმედი, კოლექტივების კრებებზე შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით შრომითს კოლექტივებს, რომლებსაც ჰყავთ ნაკლები მომუშავეები, შეუძლიათ გაერთიანებული კრებების გამართვა. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება გაიმართოს საამქროებში, უბნებში, ცვლებში და სხვა ქვეგანაყოფებში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან დეპუტატობის კანდიდატს ასახელებენ საარჩევნო ოლქების მიხედვით მათი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები.

დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 500 ამომრჩეველი.

დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევენ ჯარის ნაწილების სარდლობა.

კრებებზე იქმნება კანდიდატურათა განუსაზღვრელი რაოდენობით დასახელების პირობები. კრების თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს შემოიტანოს წინადადებანი დეპუტატობის კანდიდატების შესახებ, მონაწილეობა მიიღოს მათს განხილვაში, მსჯავი დაუჭიროს დასახელებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ. კრების მონაწილეს შეუძლია დეპუტატობის კანდიდატად განხილულთაგან დასახელოს თავისი კანდიდატური. დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე ღია ან ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის წესს ადგენს კრება.

კანდიდატი დასახელებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა. დეპუტატობის კანდიდატად დასახელების შესახებ დგება ოქმი. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება დეპუტატობის კანდიდატს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად, როგორც წესი, ასახელებენ მოქალაქეებს, რომლებიც მუშაობენ ან ცხოვრობენ: ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან არჩევნების დროს — შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე; ეროვნულ-ტერიტორიული ოლქებისაგან არჩევნების დროს — შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის - ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის მოქალაქე არ შეიძლება იყოს ერთდროულად სახალხო დეპუტატთა ორზე მეტი საბჭოს დეპუტატი.

მუხლი 38. საოლქო წინასაარჩევნო კრება

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საარჩევნო ოლქის მიხედვით დასახელებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა განსახილველად და შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისათვის კანდიდატთა წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება გაიმართოს საოლქო წინასაარჩევნო კრება. კრებას იწვევს საოლქო საარჩევნო კომისია და ეწყობა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დამთავრების შემდეგ. თუ ოლქში დასახელებულია არა უმეტეს ორი დეპუტატობის კანდიდატისა, საოლქო წინასაარჩევნო კრება არ იმართება.

საოლქო წინასაარჩევნო კრების მონაწილეებს დელეგატებად გზავნიან შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ორგანოები, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატები დასახელეს, თანაბარი რაოდენობით საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით. კრების მონაწილეთა სულ ცოტა ნახევარს უნდა შეადგენდნენ ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებაში. მათ დელეგატებად გზავნიან შრომითი კოლექტივები და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა, სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საოლქო წინასაარჩევნო კრების მონაწილეებს დროულად წარედგინება ამ ოლქში დასახელებული ყველა დეპუტატობის კანდიდატის სია და მათ შესახებ ძირითადი ცნობები.

კრებაზე დეპუტატობის კანდიდატებს შესაძლებლობა ეძლევა ჩამოაყალიბოს თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამა. კრების ყოველ მონაწილეს უფლება აქვს იმსჯელოს დეპუტატობის კანდიდატებზე და მათ გამო მეიტანოს თავისი წინადადებანი.

რეგისტრაციისათვის დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით ღია ან ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის წესს ადგენს კრება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების მონაწილეთა ნახევარზე მეტი. დეპუტატობის კანდიდატთა განხილვის შედეგები აისახება კრების ოქმში.

კრების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო საარჩევნო კომისიაში სამი დღის ვადაში.

